ოქმი N14

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2016 წლის 28 სექტემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 21 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

3. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის №52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 აგვისტოს №47 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი).

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა კენჭისყრამდე, სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სხდომაზე გამომსვლელთა სიაში ჩაწერილია საკრებულოს წევრი ბატონი ედიშერ წურწუმია, რომელსაც დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ მიეცემა საშუალება გააკეთოს განცხადება.

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 1 (ე. წურწუმია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ტ. ალექსანდრია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან წარმოდგენილ პროექტზე, გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური განმარტავს, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

არსებული, ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქ. N185-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულის 91 კვ.მ ფართი იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, სარგებლობის უფლებით იყო დატვირთული, კერძოდ: 41 კვ.მ ფართი გამოყოფილი იყო სააფთიაქო მომსახურებისთვის, ხოლო 50 კვ.მ ფართი კი კვების ობიექტისთვის. აღნიშნულ ხელშეკრულებებს ვადა გაუვიდა, ხოლო გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, მათი ხელახალი გაიჯარება, გამომდინარე იქედან, რომ ყოფილი მოიჯარეები ითხოვდნენ ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას, ან ახალი ხელშეკრულების გაფორმებას. სამსახურის განმარტებით ყოფილი მოიჯარეები იყვნენ კეთილსინდისიერი გადამხდელები, ამასთან, გამოუყენებელი ფართის იჯარის წესით გაცემის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება გარკვეული თანხის მობილიზება ბიუჯეტში, ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით გამგეობის მიერ მომზადდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის გადაწყვეტილებით გარკვეული კორექტირება იქნა შეტანილი განკარგულების პროექტში, კერძოდ განკარგულების სათაური, კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად ჩამოყალიბდა შემდეგი შინაარსით: „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“, შესაბამისი ცვლილება იქნა შეტანილი განკარგულების პირველ პუნქტში, ამ ცვლილებების გათვალისწინებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 1 (ე. წურწუმია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ტ. ალექსანდრია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N49 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან წარმოდგენილ პროექტზე, გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური განმარტავს, რომ მიმდინარე, 2016 წელს განხორციელდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ჭალადიდის ადმინისტრაციული შენობის სახურავის კაპიტალური რემონტი, მთლიანად გამოიცვალა მოთუთიებული ფურცლოვანა და შენობაში შესასვლელი ალუმინის კარი. ზემო აღნიშნული ქონება მოწვეული აუდიტის მხრიდან შეფასებულ იქნა ჯართად 400 კგ-ის ოდენობით და მისი ღირებულება განისაზღვრა 180 ლარის ოდენობით და იმავე სამსახურის მიერ მიზანშეწონილად იქნა ჩათვლილი ამ ქონების პრივატიზება, რაზედაც მომზადდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის გადაწყვეტილებით პროექტში გარკვეული კორექტირება იქნა შეტანილი, კერძოდ განკარგულების სათაური, კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად ჩამოყალიბდა შემდეგი შინაარსით: „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“, შესაბამისი ცვლილება იქნა შეტანილი ასევე განკარგულების პირველ პუნქტში, ამ ცვლილებების გათვალისწინებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 1(ე. წურწუმია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N50 ოქმს თან ერთვის)

3. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის №52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 აგვისტოს №47 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი).

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის №52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 აგვისტოს №47 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის განმარტებით განკარგულების პროექტის მომზადება განპირობებულია იმით, რომ „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის №52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 აგვისტოს N47 განკარგულებაში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ წინა ცვლილებით წესდების მეორე მუხლის პირველ პუნქტს დაემატა „რ[1]“ ქვეპუნქტი, ნაცვლად მეოთხე მუხლის პირველი პუნქტისა, წარმოდგენილი პროექტით ხორციელდება ზემო აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ მომზადებული პროექტი შეესაბამება კანონის მოთხოვნებს და კომისიას მიზანშეწონილიად მიაჩნია, მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 20, წინააღმდეგი – 1 (ე. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N51 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ ტრიბუნასთან სთხოვა, საკრებულოს წევრს ედიშერ წურწუმიას

ე. **წურწუმია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო წერილობითი განცხადება, სადაც მან ვრცლად ისაუბრა საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და სხდომათა დარბაზში მყოფ თითოეულ ადამიანს, განსაკუთრებით იმ პირებს, რომლებზედაც სახელმწიფოს მიერ დროებით დაკისრებულია მუნიციპალიტეტის მართვა-გამგებლობა, მოუწოდა მუნიციპალიტეტისა და ქალაქის ინტერესების და მომავლის დასაცავად საარჩევნოდ იბრძოლონ მშვიდობიანად, ისე ნუ გააკეთებენ, რომ 9 ოქტომბერს, დაკარგონ თანაქალაქელები, მისი განმარტებით უკვე არის ნიშნები და ფაქტები ურთიერთდაპირისპირებისა, მაგალითად ერთ-ერთ სოფელში დაფიქსირდა რამდენიმე პარტიის წარმომადგენლებს შორის ფიზიკური ურთიერთდაპირისპირების ფაქტი. გამომსვლელმა დასასრულს განაცხადა, რომ „პირადად, მე ვისაც სიკეთე გავუკეთე და დავეხმარე ცხოვრების გზის გაკაფვაში, ერთმანეთს დაასწრეს, რომ ჩემთვის გაეხადათ, გირჩევთ ნურც სხვას გახდით და ნურც სხვებს დაანებებთ, რომ გაგხადონ“.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა

მესამე მოწვევის საკრებულოს 2016 წლის 28 სექტემბრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. ტარიელ ალექსანდრია
3. გოჩა სიჭინავა
4. ვასილ კუკავა
5. დოდო გაბუნია
6. როსტევან გვარამია
7. თენგიზ აბაკელია
8. კახა ლატარია
9. ფრიდონ შონია
10. მერაბ ნადარაია
11. კახა მიქაბერიძე
12. მერაბ ფილიპია
13. გიორგი ხურცილავა
14. მალხაზ ყურუა
15. ლეონიდე ლოლუა
16. შადიმან ჭილაია
17. ჯემალ ნადარაია
18. მელორ გელანტია
19. ედიშერ წურწუმია
20. გენადი ქამანაია
21. გენად ზარანდია